განკარგულება:**გ-49. 492433412**
თარიღი:**29/11/2024**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2024-2025-2026 წლებში საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის მიერ დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 26 ნოემბრის N48-482433196 წერილი, რომლითაც ითხოვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2024-2025-2026 წლებში საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვასა და მოწონებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე**:**

1. მოწონებულ იქნეს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2024-2025-2026 წლებში საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებები წარმოდგენილი დანართის მიხედვით.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულებაშეიძლება გასაჩივრდეს კანონითდადგენილიწესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართიქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი № 1

2024-2025-2026 წლებში რგ(პ)ფ მიერ დასაფინანსებელი პროექტები

N	მუნიციპალიტეტი	პროექტის დასახელება	პროექტის კატეგორია	პროექტის სრული ღირებულება
1	წყალტუბო	სოფელ გვიშტიბი ბენდელიანების,კირთაძეების უბანი, ნიჟარაძეების უბანი,პირველი მაღაზიის უკან, პირველი ჩიხი,ჩავჩიძეების უბანი, №17 ქუჩის გზის ბეტონის საფარით მოწყობა	გზა	542 878,00
2	წყალტუბო	სოფ.თერნალში მე-15,18,21 ქუჩებზე გზების და ჩაის ფაბრიკის დასახლებაში საერთო საცხოვრებელ სახლებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	გზა	363 308,00
3	წყალტუბო	სოფელ ქვიტირში №10,22,25,11,4,5 და პირველი ქუჩა მე-11, მე-13, მე-7 ჩიხის გზის ბეტონის საფარით მოწყობა .	გზა	1 444 266,00
4	წყალტუბო	სოფელ ქვედა მესხეთში ნარეშელაშვილების უბანში გზის ბეტონის საფარით მოწყობა	გზა	544 850,00
5	წყალტუბო	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ყუმისთავში ბაღათურიების უბანში, ასევე სვანიძეებისა და სილაგაძეების უბნების დამაკავშირებელი გზის და შიდა გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფრით.	გზა	694 951,00
6	წყალტუბო	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოში №28 და №30 ქუჩების და სოფელ ქვილიშორში რუშავას უბანში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	გზა	1 408 951,00
7	წყალტუბო	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საჩხეურისა და დღნორისის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	გზა	3 115 654,00
8	წყალტუბო	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატრიკეთში და ტყაჩირში შიდა გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით .	გზა	591 267,00
9	წყალტუბო	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხომულში 26-ე ქუჩისა და შიდა ქუჩებზე გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	გზა	730 321